

სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია

„აგრო სოლუშენს“-ის მიერ

კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 419997007

რეგისტრირებული ოფისის მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი,
ნუცუბიძის ქ.N139 ბინა #8

კომპანიის დირექტორი: დიანა ბერია

ტელეფონის ნომერი: 577 15 23 39 / 0322 500-118

ელექტრონული ფოსტის მისამართი: diana@as.ge

შპს „ივრის ნუშები“
სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე

**სამელიორაციო სისტემის მოწყობა/ექსპლუატაციის
სკრინინგის ანგარიში**

კომპანიის დასახელება	შპს „ივრის ნუშები“
საიდენტიფიკაციო კოდი	440 397 866
მდებარეობა	სიღნაღის რაიონი, სოფელი ბოდბე
დაგეგმილი საქმიანობა	ნუშის ბაღის გაშენება
გასაშენებელი ბაღის საკადასტრო კოდი	ს/კ: 56.10.70.165 56.10.70.163
საქმიანობის სახე	სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია
დირექტორი	ქეთევან ჯანგულაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	577 15 23 39

ზოგადი ცნობები

შპს „ივრის ნუშები“ ს/კ 440 397 866 სიღნაღის რაიონ, სოფელ ბოდბეში ფლობს 50 ჰექტრიან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 56.10.70.165 56.10.70.163) და გეგმავს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას, ნუშის ბაღების გაშენებას. ბაღის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი მორწყვის ქსელის მოწყობა.

მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 56.10.70.163 ეკუთვნის შპს „ივრის ნუშებს“, ხოლო ნაკვეთი ს/კ: 56.10.70.165 ეკუთვნის ფიზიკურ პირ გიორგი სიმონგულაშვილს, სკრინინგის დოკუმენტს დანართის სახით თან ახლავს შპს ივრის ნუშებსა და გიორგი სიმონგულაშვილს შორის გაფორმებული შეთანხმება, რომლის გათვალისწინებითაც ირკვევა, რომ გიორგი სიმონგულაშვილი შპს „ივრის ნუშებს“ საწესდებო კაპიტალში გადასცემს საკუთრებაში არსებულ ნაკვეთს შენატანის სახით.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი წლიურად მოხმარებული წყლის რაოდენობა (59,591 მ³) გაანგარიშებულია 50 ჰა მიწის ნაკვეთის მორწყვისათვის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო ფართობზე სამელიორაციო სისტემის მოწყობასთან, ექვემდებარება სკრინინგის გადაწყვეტილებას.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგარიში.

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ:

- ✓ საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ

საქმიანობის მოკლე აღწერას, კერძოდ, ზოგად ინფორმაციას:

- ✓ საქმიანობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ
- ✓ ზოგად ინფორმაციას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების, მისი სახეების და მასშტაბების შესახებ

ასევე, ანგარიში მოიცავს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით, ბუნებრივ გარემოზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, სოციალურ გარემოზე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ანგარიში შესრულებულია საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

სკრინინგის ანგარიშს თან ახლავს დანართები:

დანართი #1 მიწის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

დანართი #2 ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

დანართი #3 შპს ივრის ნუშებსა და გიორგი სიმონგულაშვილს შორის გაფორმებული შეთანხმება

დანართი #4 წყალაღების წერტილის GPS კოორდინატები და SHAPE ფაილები

დანართი #5 კერძო პირების საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე დროებითი სამუშაოების განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

დანართი #6 წყლის შემკრები ავზის პარამეტრები


ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

სარწყავი წყლის აღება ხდება მდინარე იორიდან, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, მწვერვალ ბორბალოსთან, ზღვის დონიდან 2600 მ სიმაღლეზე. ივრის სიგრძეა 320 კმ, აუზის ფართობი — 4 650 კმ². წყლის საშუალო ხარჯი შესართავიდან 43 კმ-ში 12 მ³/წმ. საზრდოობს ძირითადად თოვლისა და წვიმის წყლებით.

ბალის მოსარწყავად იგეგმება წვეთოვანი სისტემის მოწყობა. (იხილეთ რუკა #1) სარწყავი სისტემა წყლით მომარაგდება მდინარე იორიდან. აღნიშნული ნაკვეთიდან, მდინარე იორი დაშორებულია 2 320 მეტრით.

საპროექტო ტერიტორიასა და მდ. იორს შორის მდებარეობს კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები. დანართის სახით შეგიძლიათ იხილოთ კერძო პირების საკუთრებაში არსებულ ნაკვეთებზე დროებითი სამუშაოების განხორციელების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. (დანართი #5)

რუკა №1 მდინარე იორიდან ნაკვეთამდე წყლის მიყვანის გეგმა



აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიამდე, ტუმბოს მუშაობისთვის საჭირო არ იქნება ეგხ-ის გაყვანა.

სკრინინგს დანართის სახით თან ახლავს სატუმბი სადგურის განთავსების და წყალაღების წერტილის shp ფაილები.

ტუმბოს ძირითადი ტექნიკური პარამეტრები:

1. წარმადობა: 150.0 m³/h
2. მისაღები წყლის დებეტი: 45.7 მ³/სთ. წნევა: 6.27 ბარი
3. ძრავის სიმძლავრე: 18.5 კვტ, 2900 ბრუნვის სიხშირე წუთში

ტუმბოს მოდელი

NSCF 50-200/185/P25VCS4



შემკრები ავზიდან წვეთოვანი სარწყავი სისტემის საშუალებით მოხდება მცენარეთათვის წყლის მიწოდება. წყლის მოხმარებული მოცულობა წელიწადში შეადგენს 59,591 კუბურ მეტრს. წლიურად მოხმარებული წყლის რაოდენობა გაანგარიშებულია 50 ჰა მიწის ნაკვეთის მოსარწყავად.

გამოყენებული წყლის რაოდენობა თვეების მიხედვით ცვალებადია:

თვე	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი
მოცულობა	2795.3	10588.3	8470.6	10588.3	10588.3	8470.6	5294.2	2795.3
	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³	მ ³

სისტემა გათვლილია მაქსიმალურ მოთხოვნილებაზე.

საქმიანობის პროცესში გამოყენებული წყლების ჩაშვება წყალსატევებში არ მოხდება.

ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გრუნტის გზით, შესაბამისად ნაკვეთამდე მისასვლელად რაიმე ტიპის სამშენებლო სამუშაოები განსახორციელებელი არ არის.

პროექტით განსაზღვრული სამუშაოების განხორციელებისთვის, სამშენებლო ბანაკის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა დაგეგმილი არ არის.

ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე

ატმოსფერული ჰაერი

დაგეგმილი საქმიანობის შედეგად, ატმოსფერულ ჰაერში მოხდება დიზელ-გენერატორის გამოყენების დროს გაფრქვევა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დიზელ-გენერატორის მუშა პერიოდი არ იქნება პერმანენტული ხასიათის, გენერატორის გამოყენება მოხდება მხოლოდ იმ პერიოდში, როდესაც მოხდება რეზერვუარის შევსება წყლით. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერზე დიზელ გენერატორის მუშაობა პროექტის ფარგლებს იქნება უმნიშვნელო.

გარდა ამისა, სამუშაოების დროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან შეიძლება აღვნიშნოთ სამშენებლო ტექნიკის გამონაბოლქვით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რომელიც ასევე, იქნება უმნიშვნელო და დროებითი ხასიათის.

ხმაური

გარემოს ხმაურით დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ მშენებლობის ეტაპზე - სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობით გამოწვეული. თუმცა აღნიშნული ზემოქმედებას აქვს დროებითი ხასიათი, რადგან სამუშაოები განხორციელდება შემჭიდროვებულ ვადებში.

ზემოქმედება კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე

რეგიონი მდიდარია კულტურული, ისტორიული ღირსშესანიშნაობებით. რეგიონში მრავლადაა ეკლესია-მონასტრები, არამატერიალური კულტურული ძეგლები.

აღნიშნული ღირსშესანიშნაობები საპროექტო ტერიტორიაზე არ ხვდება, რაც გამორიცხავს ისტორიულ-კულტურულ გარემოზე ზეგავლენას.

ნიადაგი

ნიადაგზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე

პროექტით გათვალისწინებულია მილსადენის, სატუმბისა და 4953.7 მ³ მოცულობის რეზერვუარის მოწყობა. აღნიშნული ინფრასტრუქტურის მოწყობისთვის დაგეგმილია მიწის სამუშაოების წარმოება (ნიადაგის ფენისა და გრუნტის მოხსნა). რეზერვუარის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორიის ფართობი შეადგენს დაახლოებით 2200 მ²-ს. ამოღებული მასის მოცულობა შედგენს დაახლოებით 5575.2 მ³-ს.

აღსანიშნავია ის საკითხი, რომ რეზერვუარის მოსაწყობად შერჩეული ტერიტორია არის ფრაგმენტულად კლდოვანი გრუნტის მქონე, შესაბამისად, სრულ ზედაპირზე არ შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა.

რეზერვუარის მოწყობის ეტაპზე, ნიადაგის ფენის მოხსნასთან ერთად, ასევე გათვალისწინებულია ნიადაგის არაჰუმუსოვანი ფენების, გრუნტის მოხსნაც, რომელიც, თუ ვარგისი იქნება შემავსებელ მასალად, იგი გამოყენებული იქნება სამშენებლო მიზნებისთვის რეზერვუარის კედლის ასამაღლებლად.

მნიშვნელოვანია, რომ მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მოხსნილი ნიადაგისა და გრუნტის მართვა განხორციელდება შესაბამისი გარემოსდაცვითი პირობების გათვალისწინებით.

ნაყოფიერი ფენის მოხსნა და გამოყენება განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილების შესაბამისად.

ნიადაგზე ზემოქმედება რეზერვუარის ექსპლუატაციის ეტაპზე

რეზერვუარის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არა არის, თუ არ ჩავთვლით ავარიულ შემთხვევას, რაც დაკავშირებული იქნება რეზერვუარის დაზიანებასთან და დაგროვებული წყლის დაღვრის შედეგად ნიადაგის წარეცხვასთან.

ნარჩენების წარმოქმნა

პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას დიდი რაოდენობით ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ძირითადად მოსალოდნელია მცირე რაოდენობის არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა.

ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მოცემულია ცხრილში №1

ცხრილი №1 ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	ნარჩენის ფიზიკური მდგომარეობა	სახიფათო დიახ/არა
15 01 01	ქალღდისა და მუყაოს შესაფუთი მასალა	მყარი	არა
15 01 02	პლასტმასის შესაფუთი მასალა	მყარი	არა
15 01 04	ლითონის შესაფუთი მასალა	მყარი	არა
17 09 04	შერეული სამშენებლო და ნგრევის შედეგად მიღებული ნარჩენები, რომლებსაც არ	მყარი	არა

	ვხვდებით 17 09 01, 17 09 02 და 17 09 03 პუნქტებში		
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	მყარი	არა

იქიდან გამომდინარე, რომ სამუშაო არ საჭიროებს პერსონალის მუდმივად საქმიანობის განხორციელების ადგილზე ყოფნას, მინიმალური ალბათობა არსებობს საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნაზე. შესაბამისად, დასაქმებულ პერსონალს პროექტის განხორციელებამდე და სამუშაოების დაწყებამდე ექნება შესაბამისი ინფორმაცია ნარჩენების სათანადო მართვის საკითხებთან დაკავშირებით.

კომპანიის ნარჩენების მართვის პოლიტიკა ნარჩენების პრევენციისკენ იქნება მიმართული. უპირატესობა მიენიჭება ნარჩენების პრევენციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, რომლებიც დაიწყება პროექტის საწყის ეტაპზე.

რეზერვუარის მშენებლობის ეტაპზე ნარჩენების მართვისთვის მოხდება სპეციალური კონტეინერების განთავსება, რომელიც გატანილ იქნება შესაბამისი სამსახურის მიერ, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე არ მოხდება ნარჩენების წარმოქმნა.

ნარჩენების წარმოქმნის შემთხვევაში, განხორციელდება მათი სწორი მართვა და შესაბამისად გატანილი იქნება მუნიციპალიტეტის ნაგავსაყრელზე. საპროექტო ტერიტორიაზე განთავსდება ურნა, რითაც მოხდება ნარჩენების შეგროვება-განთავსება.

რეზერვუარის ექსპლუატაციის ეტაპზე კი ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების მიმოხილვა

საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ მთლიანად წარმოდგენილია აგროლანდშაფტები, სასოფლო-სამეურნეო ტიპის მიწები, აგრეთვე მეორეული გზები.

საველე სამუშაოები ჩატარებულ იქნა მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში.

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის მცირე ნაწილი კვეთს იორის ადკვეთილს (არნიშნულთან დაკავშირებით განცხადება წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში, განცხადება თან ერთვის დოკუმენტს. პასუხი გეცნობებათ დამატებით). ხოლო ზურმუხტის ქსელის კანდიდატი საიტი „კოწახურა GE0000051“ (იხილეთ შესაბამისი სიტუაციური სქემა, ნახაზ N1-ში) საპროექტო ტერიტორიიდან დაცილებულია 2.5 კმ-ით, შესაბამისად, დაგეგმილ საქმიანობას, მისი მასშტაბიდან გამომდინარე არ ექნება რაიმე სახის ზეგავლენა ზურმუხტის ქსელზე, არ მოხდება ხსენებული დაცული ტერიტორიების ქვეშ მოქცეული მცენარეული საფარის ხელყოფა და ფაუნისტური სახეობების შეწუხება.

მოცემული რეზერვუარის და მილსადენის დერეფნის სამშენებლო საპროექტო ტერიტორიაზე არ არის მოქცეული რაიმე სენსიტიური ჰაბიტატი ან საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული რომელიმე სახეობა.

ფლორისტული შემადგენლობის დახასიათება

მშენებლობისთვის შერჩეული საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ალაზნის ანუ კახეთის ვაკის გეობოტანიკურ რაიონს.

რაიონის ტერიტორიაზე ძირითადად ვხვდებით:

- ჭალის ტყეებს
- ბუჩნარ მცენარეულობას
- სტეპის მცენარეულობას
- ნახევრად უდაბნოს მცენარეულობას
- ეწრის გვიმრიანის (*Pteridium tauricum*) დაჯგუფებებს

უშუალოდ საპროექტო დერეფნის ბუფერულ ზონაში ვხვდება ორი ტიპის ჰაბიტატი, რომელიც ევროპის ბუნების ინფორმაციული სისტემის (European Nature Information System), EUNIS-ის ჰაბიტატების ნუსხის მიხედვით კლასიფიცირდება შემდეგ ჰაბიტატად:

- I რეგულარულად ან ახლახანს დამუშავებული სასოფლო სამეურნეო მიწები, ნაკვეთები ან საკარმიდამო ბაღები
- G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე

ამათგან, ძირითადად პროექტის განხორციელებით ხდება I ჰაბიტატის (აგროლანდშაფტების) კვეთა, ხოლო ძალიან მცირე მონაკვეთზე - უშუალოდ მდინარიდან წყალაღების ტერიტორიაზე ვხვდებით მდინარისპირა ჭალის ტყის ფრაგმენტს, რომელიც ძალზედ გამეჩხერებულია და მეტწილად შეინიშნება მეორეული მცენარეები. საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ზოგიერთი მცენარის ფოტომასალა იხილეთ სურათ N3-ში.

სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისა და სავარგულების მცენარეულობა შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად:

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N2-ში გთავაზობთ დაგეგმილ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილ მცენარეთა სახეობათა სპექტრის ამსახველ ნუსხას. აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლ ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი მერქნიანი მცენარეები (ხეები, ბუჩქები), ვხვდებით მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ტიპისთვის დამახასიათებელ მეორეულ მცენარეულობას.

ცხრილი N2. დაგეგმილ სამშენებლო ტერიტორიაზე წარმოდგენილი მცენარეთა სახეობრივი ნუსხა

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	საქართველოს წითელი ნუსხა
1.	<i>Chelidonium majus</i>	ქრისტესისხლა	-
2.	<i>Silybum marianum</i>	ბაყაყურა	-
3.	<i>Agrimonia pilosa</i>	ბირკავა	-
4.	<i>Galium verum</i>	მინდვრისნემსა	-

5.	<i>Trifolium arvense</i>	სამყურა	-
6.	<i>Botriochloa ischaemum</i>	ურო	-
7.	<i>Dactylis glometara</i>	სათითურა	-
8.	<i>Carex bordzilowskii</i>	ისლი	-
9.	<i>Festuca sulcata</i>	ველის წივანა	-
10.	<i>Bromus japonicus</i>	შვრიელა	-
11.	<i>Potentilla recta</i>	მარწყვა ბალახი	-
12.	<i>Taraxacum officinale</i>	ბაბუაწვერა	-
13.	<i>Urtica dioica</i>	ჭინჭარი	-
14.	<i>Agropyron repens</i>	მხოხავი ჭანგა	-
15.	<i>Achillea millefolium</i>	ფარსმანდუკი	-
16.	<i>Lamium album</i>	ჭინჭრის დედა	-
17.	<i>Plantago major</i>	მრავალმარღვა	-
18.	<i>Tussilago farfara</i>	ვირისტერფა	-

G1.3 ხმელთაშუაზღვისპირული ჭალის ტყე შეიძლება დავახასიათოთ შემდეგნაირად: დაგეგმილ საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ (მდინარისპირა ჭალის ტყის ფრაგმენტში, თუმცა არა უშუალოდ საქმიანობის არეალში) გამოვლინდა საქართველოს წითელი ნუსხით (2014 წლის 190 დადგენილება) დაცული სახეობა - ჭალის მუხა (*Quercus pedunculiflora*), რომელსაც მინიჭებული აქვს მოწყვლადი (VU) სტატუსი. თუმცა, ამ სახეობაზე არანაირი ზემოქმედება არ მოხდება (არ არის საჭიროება ამ სახეობის რომელიმე ინდივიდის გარემოდან ამოღებისა). ადგილზე არსებულ ჭალის ტყის ფრაგმენტში დომინანტი სახეობა ვერხვია (*Populus canescens*, *P. nigra*), რომელთანაც შერეულია ამორფა (*Amorpha fruticosa*), კუნელი (*Carataegus microphylla*), ბეძვი (*Paliurus spina-christi*), იალღუნი (*Tamarix ramossissima*), და ღვედკეცი (*Periploca graeca*). აღსანიშნავია, რომ ადგილზე უკვე არსებობს საფეხმავლო ბილიკი რომელსაც მდინარე იორის პირამდე მივყავართ, ამ ბილიკის გაფართოება ან ტოტების შესწორება/გადაბეღვა არ იგეგმება.

ამ ჰაბიტატის შესაბამისი ფოტომასალა საპროექტო ტერიტორიიდან გამომდინარე, იხილეთ სურათ N2-ში.



სურათი N2. მდინარისპირა ჭალის ტყის ფრაგმენტი

ქვემოთ მოცემულ ცხრილ N3-ში გთავაზობთ ადგილზე ნანახ მცენარეთა სახეობრივი სპექტრის ამსახველ ნუსხას G1.3 ჰაბიტატისთვის.

ცხრილი N3. ადგილზე ნანახი მცენარეული შემადგენლობის ნუსხა G1.3 ჰაბიტატისთვის


N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	საქართველოს ნუსხა	წითელი
1.	<i>Populus canescens</i>	ჭალის ვერხვი	-	
2.	<i>Populus nigra</i>	ოფი	-	
3.	<i>Smilax excelsa</i>	ეკალიჭი	-	
4.	<i>Quercus pedunculiflora</i>	ჭალის მუხა	VU	
5.	<i>Salix alba</i>	წნორი		
6.	<i>Amorpha fruticosa</i>	ამორფა		
7.	<i>Carataegus microphylla</i>	წითელი კუნელი		
8.	<i>Paliurus spina-christi</i>	ძებვი		
9.	<i>Tamarix ramossissima</i>	იალლუნი		
10.	<i>Periploca graeca</i>	ღვედკეცი		

11.	<i>Rosa canina</i>	ასკილი	
12.	<i>Rubus hirtus</i>	მაყვალი	
13.	<i>Galium verum</i>	მინდვრისნემსა	-
14.	<i>Trifolium arvense</i>	სამყურა	-
15.	<i>Botriochloa ischaemum</i>	ურო	-
16.	<i>Urtica dioica</i>	ჭინჭარი	-
17.	<i>Bryonia dioica</i>	ლეშურა	-
18.	<i>Agropyron repens</i>	მხოხავი ჭანგა	-
19.	<i>Achillea millefolium</i>	ფარსმანდუკი	-
20.	<i>Plantago major</i>	მრავალძარღვა	-
21.	<i>Tussilago farfara</i>	ვირისტერფა	-



Tamarix ramossissima

Paliurus spina-christi



ფაუნისტური შემადგენლობის დახასიათება

აღსანიშნავია, რომ ძუძუმწოვრებისთვის შერჩეული ტერიტორია, განსაკუთრებით კი წყალაღების მიდამოები ფრიად ხელსაყრელი ადგილია - წყლის დაღვებისა და შესვენების თვალსაზრისით. თუმცა, მთლიანი დაგეგმილი საპროექტო არეალი ფაუნის წარმომადგენლებისთვის დაბალ სენსიტიურია, ვინაიდან ისინი მიგრირებენ და ფარავენ დიდ ტერიტორიებს, შესაბამისად დაგეგმილი ეს მცირე მასშტაბის საქმიანობა მათ ცხოვრების ნირსა თუ საცხოვრებელი გარემოს პირობებზე გავლენას არ მოახდენს.

ძუძუმწოვრებიდან (კლასი: Mammalia) ლიტერატურული მონაცემების მიხედვით აქ გავრცელებულია - მწერიჭამიებიდან: ზღარბი (*Erinaceus concolor*), თხუნელა (*Talpa levantis*), კავკასიური ბიგა (*Sorex satunini*), მღრნელებიდან: ჩვეულებრივი ძილგუდა (*Glis glis*), ბუჩქნარის მემინდვრია (*Terricola majori*), მცირე თაგვი (*Apodemus uralensis*), სტეპის თაგვი (*Sylvaemus fulvipectus*), და ა.შ. მტაცებლებიდან აღსანიშნავია: დედოფალა (*Mustela nivalis*), მაჩვი (*Meles meles*), მელა (*Vulpes vulpes*), ენოტი (*Procyon lotor*), და სხვა.

საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული შესაძლო სახეობების ნუსხა იხილეთ ცხრილ N4-ში, ხოლო ზოგიერთი მათგანის საცხოვრებელი არეალის დამადასტურებელი ფოტომასალა სურათ N4-ში.

ცხრილი N4. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიაზე გავრცელებული შესაძლო მუქუმწოვრების სახეობები

N	ლათინური დასახლება	ქართული დასახლება	საქართველოს წითელი ნუსხა
1.	<i>Meles meles</i>	მაჩვი	-
2.	<i>Microtus arvalis</i>	ჩვეულებრივი მემინდვრია	-
3.	<i>Mus musculus</i>	სახლის თაგვი	-
4.	<i>Mus macedonicus</i>	ველის თაგვი	-
5.	<i>Lepus europeus</i>	კურდღელი	-
6.	<i>Mustela nivalis</i>	დედოფალა	-
7.	<i>Apodemus mystacinus</i>	თაგვი	-
8.	<i>Sorex satunini</i>	კავკასიური ბიგა	-
9.	<i>Glis glis</i>	ჩვეულებრივი ძილგუდა	-
10.	<i>Terricola majori</i>	ბუჩქნარის მემინდვრია	-
11.	<i>Chionimys roberti</i>	მცირეაზიური მემინდვრია	-
12.	<i>Erinaceus concolor</i>	ევროპული ზღარბი	-
13.	<i>Talpa levantis</i>	თხუნელა	-
14.	<i>Vulpes vulpes</i>	მელა	-
15.	<i>Procyon lotor</i>	ენოტი	
16.	<i>Apodemus uralensis</i>	მცირე თაგვი	-



სურათი N4. მემინდვრის (*Terricola*) სოროები

ფრინველებიდან (კლასი: *Aves*)-ლიტერატურული და საკვლე კვლევის შედეგების მიხედვით აქ გავრცელებულია: შოშია (შროშანი) (*Sturnus vulgaris*), სახლის ბელურა (*Passer domesticus*), ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა (*Phoenicurus phoenicurus*), ჭინჭრაქა (*Troglodytes troglodytes*), შავთავა გრატა (*Emberiza melanocephala*), ჩვეულებრივი ღაჟო (*Lanius collurio*), ჩვეულებრივი მელორღია (*Oenanthe oenanthe*), ჩვეულებრივი კაკაჩა (*Buteo buteo menetriesi*), ქორი (*Accipiter gentilis*),), თეთრი ბოლოქანქარა (*Motacilla alba*), სკვინჩა (*Fringilla coelebs*), ქალაქის მერცხალი (*Delichon urbicum*), სოფლის მერცხალი (*Hirundo rustica*), შაშვი (*Turdus merula*), თოხიტარა (*Aegithalos caudatus*), გულწითელა (*Erithacus rubecula*), დიდი წივწივა (*Parus major*), რუხი ყვავი (*Corvus corone*), ყორანი (*Corvus corax*), ჩიტბატონა (*Carduelis carduelis*), და სხვ.

საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული შესაძლო ფრინველთა სახეობების ნუსხა იხილეთ ცხრილ N5-ში.

ცხრილი N5. საკვლევ ტერიტორიაზე და მის შემოგარენში გავრცელებული შესაძლო ფრინველთა სახეობები.

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	საქართველოს წითელი ნუსხა
1.	<i>Accipiter gentilis</i>	ქორი	-
2.	<i>Passer montanus</i>	მინდვრის ბელურა	
3.	<i>Corvus corax</i>	ყორანი	

4.	<i>Corvus corone</i>	რუხი ყვავი	
5.	<i>Oenanthe oenanthe</i>	ჩვეულებრივი მელორდია	
6.	<i>Accipiter nisus</i>	მიმინო	
7.	<i>Pernis apivorus</i>	კრაზანაჭამია (ან ირაო)	
8.	<i>Hieraaetus pennatus</i>	ჩია არწივი	
9.	<i>Milvus migrans</i>	ძერა	-
10.	<i>Falco tinnunculus</i>	ჩვეულებრივი კირკიტა	-
11.	<i>Buteo buteo</i>	ჩვეულებრივი კაკაჩა	-
12.	<i>Hirundo rustica</i>	სოფლის მერცხალი	-
13.	<i>Delichon urbicum</i>	ქალაქის მერცხალი	-
14.	<i>Aquila nipalensis</i>	ველის არწივი	-
15.	<i>Falco columbarius</i>	ალალი	-
16.	<i>Lanius collurio</i>	ჩვეულებრივი ღაჭო	-
17.	<i>Coracias garrulus</i>	ყაპყაპი	-
18.	<i>Oriolus oriolus</i>	მოლადური	-
19.	<i>Galerida cristata</i>	ქოჩორა ტოროლა	-
20.	<i>Phoenicurus phoenicurus</i>	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა	-
21.	<i>Phoenicurus ochruros</i>	შავი ბოლოცეცხლა	-
22.	<i>Motacilla alba</i>	თეთრი ბოლოქანქარა	-
23.	<i>Lanius minor</i>	შავშუბლა ღაჭო	-
24.	<i>Sturnus vulgaris</i>	შოშია (შროშანი)	-
25.	<i>Emberiza melanocephala</i>	შავთავა გრატა	-
26.	<i>Carduelis carduelis</i>	ჩიტბატონა	-
27.	<i>Turdus merula</i>	შაშვი	-
28.	<i>Erithacus rubecula</i>	გულწითელა	-
29.	<i>Troglodytes troglodytes</i>	ჭინჭრაქა	-

ქვეწარმავლებიდან და ამფიბიებიებიდან (კლასი: Reptilia et Amphibia) ლიტერატურული და საველე კვლევის შედეგების მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულია -

ქვეწარმავლებიდან: სპილენძა (*Coronella austriaca*), ბოხმეჭა (*Anguils fragilis*), წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), ჩვეულებრივი ანკარა (*Natrix natrix*), ქართული ხვლიკი (*Darevskia rudis*) და მდელის ხვლიკი (*Darevskia praticola*). ამფიბიებიებიდან: ტბორის ბაყაყი (*Pelophylax ridibundus*) და მცირეაზიური ბაყაყი (*Rana macrocnemis*).

დასკვნები

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისთვის შერჩეული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს დაბალ სენსიტიურ არეალს როგორც ფლორისტული, ისე ფაუნისტური თვალსაზრისით.

შერჩეული საპროექტო ტერიტორია არ ექცევა ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტში „კოწახურა“, შესაბამისად დაგეგმილი პროექტის განხორციელებას არანაირი ზეგავლენა არ ექნება მასზე და იქ არსებულ სახეობებსა თუ ჰაბიტატებზე.

მშენებლობის ეტაპზე სამუშაოები განხორციელდება მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში, რათა არ მოხდეს ბიომრავალფეროვნების წარმომადგენლების შეწუხება.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე.

საერთო ჯამში, პროექტის გავლენის ზონაში არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე გავლენა შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელო.

ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და სოციალურ მდომარეობაზე

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში მომსახურე პერსონალის და სხვა ადამიანებზე, მათ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოსაწყობად საჭირო იქნება 10 ადამიანი. ხოლო, სამუშაო გაგრძელდება 15 დღის მანძილზე.

შპს „ივრის ნუშების“ -ის საქმიანობა დადებითად აისახება სოციალურ გარემოზე.

დასკვნა

სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი გარემოებებიდან გამომდინარე - პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს არ აქვს მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოს რომელიმე კომპონენტზე.

შერჩეული საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს დაბალ სენსიტიურ არეალს, როგორც ფლორისტული, ისე ფაუნისტური თვალსაზრისით.

ინფორმაციას მდინარე იორზე სხვა წყალმომხმარებლების შესახებ არ ფლობს არც სამინისტრო და არც სხვა რომელიმე უწყება, შესაბამისად აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ვფლობთ ინფორმაციას. გარდა ამისა სკრინინგის დოკუმენტი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გათვალისწინებით არ მოითხოვს წყალმომხმარებლების შესახებ ინფორმაციას.

წყალაღების წერტილი მდებარეობს იორის აღკვეთილის ტერიტორიაზე, შპს ივრის ნუშებმა მიმართა დაცული ტერიტორიებს სააგენტოს, შესაბამისად, შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციისთვის, გთხოვთ მიმართოთ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

სკრინინგის ანგარიშში შემუშავებულია საკონსულტაციო კომპანია „აგრო სოლუშენს“ -ის (ს/კ 419997007) მიერ.

10.02.2022

დირექტორი

დიანა ბერია

